სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 3 (235) გამოცემის მე-14 წელი • 1970 წლის 13 თებერვალი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. გ. ს. ძოწენიძის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გიორგი სამსონის ძე ძოწენიძე დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 9 თებერვალი.


დიღმის ხეობაში

თბილისში, დიღმის ხეობაში ახლა დიდი მნიშვნელობის არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს, 5 ათას წელიწადზე უხნესმა ნასახლარებმა, 3 ათასი წლის წინათ მცხოვრები დიდებულის სამარხმა და მრავალმა სხვა ექსპონატმა მეცნიერებისა და ფართო საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

შაბათს, 7 თებერვალს დიღმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებს საპატიო სტუმრები ეწვივნენ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ოთარ ლოლაშვილი და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შოთა ბუხრაშვილი. ისინი გაეცნენ ექსპედიციის მუშაობას, დიდი ინტერესით დაათვალიერეს გათხრების დროს აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები და ესაუბრნენ ექსპედიციის ხელმძღვანელს როსტომ აბრამიშვილს.

დაწვრილებით დიღმის გათხრების შესახებ მოგითხრობთ ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში.

ჩვენი უძველესი დედაქალაქი — ამ სათაურით დღეს გთავაზობთ პროფესორ ანდრია აფაქიძის წერილს მცხეთის, საქართველოს ადრინდელი სატახტო ქალაქის შესახებ (იხილეთ მე-5 გვერდზე).




სურამში: ჯავახ ერისთავის (პიტიახშის) სამარხში ნაპოვნი ნივთები: ოქროს სარტყელი, სატევრის ქარქაშის ოქროს მოჭედულობა, შუბლსამკაული, საერისთავო ბეჭედი, მონეტები. II საუკუნე.



ქალაქი რუსთავი. მეგობრობის გამზირი.

ვახტანგ ჭითაავას ფოტო

(წერილი რუსთავის შესახებ იხილეთ მე-3 გვერდზე).



სურათზე: თბილისი, ვერის ხიდი.

ოთარ თუმანიშვილის ფოტო

ლექციებით საზღვარგარეთ

გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პროფესორ კლარეს შიწვეთით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არაბისტიკისა და სემიტოლოგიის დარგში ლექციების წასაკითხად გაემგზავრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი წერეთელი.**

იგი გერმანულად წაიკითხავს ლექციებს ბერლინის, ლაიფციგის, იენისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში.

ლექციებს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ეთნოგრაფიის შესახებ ქალაქ ტირნოვოს (ბულგარეთი) პედაგოგიურ ინსტიტუტში წაიკითხავს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **თეიმურაზ ჩქოვანი.**

ქართველ მეცნიერებს, სპეციალისტებს ახლა შეიძლება შეხვედეთ სხვა ქვეყნებშიც. გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი **ედუარდ ნაკაიძე** კუბაში გაემგზავრა, ხელნაწერთა ინსტიტუტის რესტავრატორი **ციალა კილურაძეც** იქ მუშაობს დოკუმენტების კონსერვაციის დარგში.

მსოფლიოს გზებზე

ომეგვეღრები კოლეგებთან

ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვახტანგ ჭიჭინაძე,** რომელიც ლექციებს კითხულობდა ილინოისის, კალიფორნიის, სტენფორდის უნივერსიტეტებში, მასაჩუსეტსის, ილინოისის ტექნოლოგიურ ინსტიტუტებში, კოსმოსური კვლევისა და აერონავტიკის ეროვნული სამმართველოს ელექტრონიკის გამოკვლევების ცენტრში და ბრუკლინის (ნიუ-იორკის) პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

პროფესორმა ვახტანგ ჭიჭინაძემ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად როდი მიხდება ლექციების წაკითხვა. მაგრამ ამჯერად პროგრამა უფრო რთული და საინტერესო იყო. კერძოდ, იგი ოპტიმალური კვლევის მართვას შეეხებოდა. აქაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენმა მასპინძლებმა, ამერიკელმა მეცნიერებმა შემიქმნეს ყველა პირობა მაღალ დონეზე წამეკითხა ლექციების ციკლი.

1969 წლის შემოდგომაზე საქართველოში იმყოფებოდნენ ცნობილი ამერიკელი მეცნიერები. „აპოლონის“ პროექტის თანაავტორები — ბაჩინი და ჰოაგი. ისინი გაეცნენ ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობას და მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი მეცნიერების მიღწევებს. სულ მალე საშუალება მომეცა ამერიკაში შევხვედროდი მათ. როცა კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-12“ მთვარისაკენ გაუშვეს, პროფესორები ჰოაგი და ბაჩინი ქალაქ ჰიუსტონში იმყოფებოდნენ პილოტირებული ფრენის ცენტრში რათა საჭიროების შემთხვევაში. როგორც მართვის სისტემის ავტორებს. შესაფერისი რჩევა მიეცათ ხომალდის ეკიპაჟისათვის. ისინი ბოსტონში ჩავიდნენ მას შემდეგ, რაც ფრენის ყველა საშიშმა ეტაპმა მშვიდობიანად ჩაიარა. ჩვენ ერთმანეთს შეხვედით უკვე როგორც ახლო ნაცნობები. საღამოს შინ სტუმრად მიმიწვიეს. გასაუბრეთ კოსმოსურ ხომალდ „აპოლონ-12“ და... საქართველოს შესახებ. როგორც ბაჩინმა ჰოაგმა და ბაჩინმა ბაჩინმა აღნიშნეს, მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენმა ჭიჭინაძემ თავისი უძველესი კულტურითა და მეცნიერული კვლევითი სამუშაოების მაღალი დონით.

ამერიკაში გავიცანი აგრეთვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი ჰუგო შაჟი, რომელიც ერთ-ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობს ასტრონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ეროვნული ადმინისტრაციის წამყვან სამეცნიერო ორგანიზაციაში. წლების განმავლობაში ერთმანეთთან გვჭონდა მიმოწერა და შრომების გაცვლა. ჩვენი საუბარი ძირითადად მეცნიერული ხასიათისა იყო და ბევრ საინტერესო პრობლემას შეეხო. პროფესორმა ჰუგო შაჟმა სურვილი გამოთქვა ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში, უწვიოს საქართველოს, რომლის შესახებ მას ბევრი წაუკითხავს და გაუგონია.

კალიფორნიის უნივერსიტეტის ქალაქ ბერკლის განყოფილებაში გავიცანი ელექტრონტექნიკური ფაკულტეტის მუშაობას. რომელმაც ჩემში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აქ ბევრი ცნობილი მეცნიერი მოღვაწეობს. მათ შორის პროფესორები ზადე, ლოტმანი, ჯური, ჰოპკინი და სხვები.

ჩემს ლექციებს უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში. გარდა პროფესორ-მასწავლებლებისა, ხშირად სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებიც ისწრაფოდნენ. სტანფორდის უნივერსიტეტში მომეხდა ლექციის წაკითხვა პროფესორ ზადესთან ერთად აუდიტორიის კოკხაობა რეაქციამ და ყურადღებამ სასიამოვნო შთაბეჭდილება ჩიახდინა ჩემზე.

ძნელია ერთბაშად ყველა შეხვედრისა თუ დიალოგის აღდგენა-გახსენება, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ასეთი შეხვედრები და მეცნიერული კონტაქტები ორივე მხარისათვის სასარგებლოა და ხელს უწყობს მეცნიერულ მიღწევათა ურთიერთგაზიარებას.

საერთაშორისო თემაზე

საითკენ ნავს მსოფლიო 70-იან წლებში?

მრავალწირნახულმა კაცობრიობამ მეოცე საუკუნის 70-იან წლებში შეაბიჯა. საერთაშორისო პრობლემების უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ჩვენს პლანეტაზე შექმნილი სიტუაციის სირთულეში.

ავიღოთ, თუნდაც, ვიეტნამის საკითხი. ამერიკის პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის ინიციატივით მთელ მსოფლიოში დღეს გაშლილია სარეკლამო კამპანია ეგრეთ წოდებული „ვიეტნამიზაციის“ საკითხის გარშემო. მაგრამ შევაქციოთ ყურადღება თუნდაც ერთ დეტალს: უცხო ლეგიონების გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან, როგორც ჩანს, კიდევ სამ-ოთხ წელიწადს გასტანს, რაც იმას ნიშნავს, რომ თეთრმა სახლმა სულ ცოტა აღნიშნული ვადით მაინც დააკანონა ომის გაგრძელება. ამასთან ძნელი დასაჯერებელია, რომ 60 ათასი გაყვანილი ჯარისკაცის სანაცვლოდ 88 ათასი ადგილობრივი მეომრის მომზადება ომის მასშტაბების შემცირებას ნიშნავდეს.

ვიეტნამში შექმნილ ვითარებასა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაშლილ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებით უურადღებას იპყრობს ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰაროლდ ვილსონის 13 იანვრის განცხადება იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთი აღარ მიიღებს მონაწილეობას ეგრეთ წოდებული „შინაგანი ძირგამომთხრელი მოქმედების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. „ჩვენ, — დასძინა პრემიერ-მინისტრმა, — არ უგულებელვყოფთ გაკვეთილს, რომელიც მიიღეს ამ მიმართულებით ამერიკელებმა“.

ამგვარი განცხადება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დასავლეთის ზოგიერთ წრეში მწარე გამოცდილების ნიადაგზე აქა-იქ თავი იჩინა შექმნილი მდგომარეობის ადეკვატური შეფასების მიდგომისა და სხვა სახელმწიფოთა შინაგან საქმეში ჩარევაზე უარის თქმის შემთხვევებმა.

თუ ეს ასეა, ამგვარი პოლიტიკის განხორციელებას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების განმუხტვისათვის. როგორც ცნობილია, ერთ-ერთ თავის უკანასკნელ გამოსვლაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უილიამ როჯერსმა განაცხადა, 1970 წელს მოსალოდნელია მსოფლიო დაძაბულობის ცენტრის გადანაცვლება დედამიწის სწორედ ამ რაიონში. მოვლენათა ამგვარი განვითარება სრულიადაც არ არის გამორიცხული, მაგრამ საკითხავია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ამ შემთხვევაში თეთრ სახლსა და სახელმწიფო დეპარტამენტში? ამ რამდენიმე ხნის წინათ ბატონმა როჯერსმა საკმაოდ მიმზიდველი ფორმულა წამოაყენა: შეინარჩუნოთ „მეგობრული კავშირები როგორც არაბებთან, ისე ისრაელთან“. ცოტა მოგვიანებით სენატორმა ჯეკობ ჯავიტსმა განაცხადა: „ამერიკის პოლიტიკა შემდგომშიც მიმართული იქნება ისრაელის მტკიცე მხარდაჭერისაკენ და მათთან მეგობრობისაკენ. ისრაელს შეუძლია ჰქონდეს იმის იმედი, რომ ვაშინგტონში დიდი გულისყურით მოეკიდებიან მის თხოვნას, მიიღოს სამხედრო და სანინანსო დახმარება“.

ვის დავუჯეროთ? როჯერსსა თუ ჯავიტს? თუ ამერიკიდან მიღებული დახმარებისა და ისრაელის ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის თავშეუკავებელი განცხადებების მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, სენატორი უფრო ახლოს უნდა იყოს სიმართლესთან.

ბოლო დროს საკმაოდ ბევრს ლაპარაკობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის კანცლერის ვილი ბრანდტის „ახალი ინიციატივის“ შესახებ. როგორც საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, შეთანხმების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ Status quo-ს და არსებული სახელმწიფოებისა და მათი საზღვრების უეყოყმანოდ ცნობის საფუძველზე.

ნაკმაოდ ბევრი სიძნელე შეიქმნა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობაში. მიუხედავად იმისა, რომ პეკინი განაგრძობს ალვირახსნილ ანტისაბჭოთა კამპანიას, საბჭოთა დელეგაცია მოთმინებით განაგრძობს მოლაპარაკებას და ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ გამოიძებნოს შეთანხმების ფორმულა.

ზემოჩამოთვლილი პრობლემები ძირითადად ცენტრიდანული ტენდენციებით ხასიათდება. მათ გადაჭრას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამავე დროს 70-იან წლებში, როგორც ჩანს, სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა მიენიჭება ზოგიერთ ისეთ პრობლემას, რომელიც აშკარად უკავშირდება ცენტრისკენულ ტენდენციებს. უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნება კოსმოსის შესწავლის, მსოფლიოს ჩამორჩენილი რაიონების ეკონომიური განვითარების, ოკეანის სიმდიდრეთა დაშუშავების, ჰაერისა და წყლის დანაგვიანებისა და სხვა მრავალი საკითხი.

აქედან გამომდინარე შეიძლება ჩაითვალოს ის დებულება, რომ ვერც ერთი საერთო საკაცობრიო პრობლემა ვერ გადაწყდება გამალებული შეიარაღების პირობებში, როდესაც თერმობატომური ომის საშიშროება კაცობრიობის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია.

ყოველივე ალნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 70-იან წლებს უდიდესი (თუ გადამწყვეტი არა) მნიშვნელობა ექნება კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის XX საუკუნის დამლევსა და, შესაძლოა, XXI საუკუნის დამდეგსაც.

ედუარდ შევარდნაძე,
პროფესორი

როგორც იუნესკოს ექსპერტი

ამ თვეს — 1969 წლის სექტემბერ-დეკემბერში ქართველი მეცნიერი სეისმოლოგი შიო ნაფეტკარიძე, სტუმრად იმყოფებოდა იუგოსლავიაში როგორც იუნესკოს საერთაშორისო ექსპერტი სეისმომედეგი მშენებლობის საკითხებზე.

შიო ნაფეტკარიძემ მაკედონიის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციების კურსი პიდროტექნიკური და სატრანსპორტო ნაგებობათა სეისმომედეგობის საკითხებზე. ამავე დროს ქართველი სპეციალისტი კონსულტაციას უწევდა იუგოსლაველ სპეციალისტებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საკითხებზე.

ნაფეტკარიძის მეცნიერული ხელმძღვანელობით იუგოსლავიაში მეცნიერების მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი წარმატებით დაიცვა ხუთმა ახალგაზრდა სპეციალისტმა. ქართველი მეცნიერის კონსულტაციით იუგოსლავიაში შენდება სეისმომედეგი ასმეტრიანი მიწის კაშხალები „შაილე“ და „ტუგია“, მდინარე ვარდარის სარეგულაციო სათინაო ნაგებობა სკოპლეში.

მსოფლიოს გზებზე

მოკლედ

მტკიცე მეგობრობა

ზესტაფონისა და ლიტვის რესპუბლიკის ტაურაგეს რაიონის მშრომელთა მეგობრობა ბრძოლაში დაიბადა. ლიტვის მიწაზე სამუდამო სამყოფელი დაიმკვიდრა ზესტაფონელმა კაპიტანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ალექსანდრე ბიბილაშვილმა.

ფაშისტ დამპყრობთაგან ტაურაგეს რაიონის განთავისუფლების 25 წლისთავის ზეიმზე ზესტაფონელი მშრომლები ბალტიისპირელთა სასურველი სტუმრები იყვნენ.

მადლიერმა ადამიანებმა დაფნის გვირგვინით შეამკეს გმირის საფლავი.

გადაუქროლებენ მთებს

ცნობილი ხარისთვალას უღელტეხილი, რომელიც ნაქერალას მაღალ ქედზე გადადის და ქალაქ ტყიბულს ამბროლაურის რაიონთან აკავშირებს, ზამთარში ხშირად იკეტება. ზვავები დიდ სიძნელეებსა და საფრთხეს უქმნიან მგზავრებს.

მალე ბუნების ეს დაბრკოლება დაიძლევა. უკვე დაპროექტდა საჰაერო-საბაგირო გზა, რომლის სიგრძე 6,4 კილომეტრია. ეს იქნება ყველაზე გრძელი საბაგირო გზა საბჭოთა კავშირში. საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა 1.600 ათასი მანეთი დაჯდება.

შველი, ხოხობი, კაკაბი...

ერთი წლის წინათ ქუთაისის ახლოს მდინარე წყალწითელას მიდამოებში, სადაც 70 ჰექტარი ტყეა გაშენებული, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალიდან გარეული ღორები ჩამოიყვანეს. ამით დასაბამი მიეცა ნაკრძალის მოწყობის იდეას. რა თქმა უნდა, სასარგებლო ნადირ-ფრინველის დიდი რაოდენობით მომრავლება 70 ჰექტარ ფართობზე შეუძლებელი იყო. და აი ახლახან ქუთაისიდან ოთხიოდე კილომეტრით დაშორებული „კოხის" ტყე, რომელიც ქალაქის მწვანე ზონაში შედის და 500 ჰექტარზეა გადაჭიმული, ნაკრძალად გადაკეთდა. ნაკრძალში გარეულ ღორთან ერთად გაუშვებენ შველს, ხოხობს, კაკაბს.


ქუთაისის სატყეო მეურნეობა მზრუნველობას არ აკლებს ახალ ნაკრძალს.

„ვეფხისტყაოსანი" ოსურად

სამხრეთ ოსეთის გამომცემლობა „ირისტონი" ოსურ ენაზე ბეჭდავს შოთა რუსთაველის უკვდავ პოემას.

ახალი თარგმანი ეკუთვნის თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილს, ლექსის ცნობილ ოსტატს გიორგი ბესტაევს, რომელსაც ჩინებულად აქვს ნათარგმნი ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ირაკლი აბაშიძის პოემები და ლექსები.

რომელი არს რუსთავი...



მხოლოდ ოცი წლისაა ეს მხვექაბუკი ქალაქი, გოლიათივით რომ გაწოლილა ორ მთას შუა. მტკვარი ქამრად შემორტყია მის ვაჟკაცურ წელს. ცად აზიდული მხუთქავი მილები, წეროებივით ყელყარყარა ამწეები, მრავალსართულიანი სახახლეების გუმბათები ქარგავენ ქალაქს.

დასცქერით ამ თვალწარმტაც სილამაზეს და უნებლიეთ გაგონდებათ ვახუშტი ბაგრატიონის სევდიანი სიტყვები: „კვალად იალღუჯის აღმოსავლეთით და მტკვრის გაღმით არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი. არამედ გამოსავალსა ბერქა ყაენისა მოოხრდა, აწცა არს ოხერ"...

ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგაც ორი საუკუნე იყო „ოხერ" და ნადირთა სათარეშოდ ოდესღაც აყვავებული ქალაქი და მისი შემოგარენი. შემდეგ კი...

შემდეგ მოვიდა ეს ბობოქარი საუკუნე... ათ წელიწადზე ნაკლები დასჭირდა, რომ ნაქალაქარზე კვლავ ქალაქი აზიდულიყო, უფრო დიდი, უფრო მხრებგაშლილი, უფრო ძლიერი.

მკვდრეთით აღმდგარ ჭაბუკ ქალაქს აწ ველარავინ აღგვის პირისაგან მიწისა. ძველი მტრები დღეს ჩვენთან სამეგობროდ მოდიან.

რუსთავის პირველმშენებლებს ჭაღარა შეჰპარვიათ, ქალაქი კი ახლაღა შედის ყრმობის ასაკში. როგორც საკუთარი შვილი, ისე უყვართ ამ ადამიანებს თავიანთი ჭაბუკი ქალაქი. მათი ოფლი აპკურია ყოველ საძირკველს, მათი კუნთების ძალაა ყოველ ქვასა და აგურში, თუჯსა და ფოლადში, ცემენტსა და კოქსში, კაპრონსა და ლაქტამში, აზოტსა და ამიაკში.

შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა, ვინც პირველი აგური დადო ინდუსტრიული ქალაქის ასაშენებლად; ვინც პირველი ხარაჩო აღმართა, ვის ხელშიც დაიბადა პირველი ფოლადი, პირველი თუჯი, მიიღო დიდი ქიმიის პირმშო — კაპროლაქტამი.

ათობით წელიწადს შენდებოდა სვეტიცხოველი, საუკუნეზე მეტი დასჭირდა პანამის არხის გათხრას. ქალაქში, რომელიც მხოლოდ ოცი წლისაა იმდენი ფოლადი გამოდნა, ხალიჩად ვკოფოდა მთელ დედამიწას, ყველა ნაღნობი ფურცლისავლიანად დებზე რომ გაგლენულიყო, მთვარემდე მისწვდებოდა იმ ფოლადისაგან დამზადებული მილები. პლანეტის გასახვევი ბადის მოსაქსოვად იკმარებს ის ძაფი, რასაც ათი წლის განმავლობაში გამოუშვებს რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა.

რუსთავი დღეს მსოფლიოში ცნობილი ქალაქია, მეტალურგიისა და დიდი ქიმიის ქალაქი. მისი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი თავფურცელი 1950 წლის 27 აპრილს დაიწერა. მაშინ პირველად აგიზგიზდა ქართული საბჭოთა მეტალურგიული გიგანტის პირმშო, მარტენის № 1 ღუმელი.

ფოლადის პირველი დნობის საპატიო ცვლაში იდგნენ ქართველი მეფოლადეები: გიორგი სიგუა და ივანე მეტრეველი, ამირან ფანცულაია და გიორგი ქუჩუნაშვილი, შალვა ყაველიშვილი და ილია ლაზარიაშვილი...

დღეს სად არ ნახავთ ქართული ფოლადის ნაწარმს, რომელ ქვეყანაში არ შეხვდებით რუსთაველი მარკით დადაღულ ფოლადის მილებსა და ფურცლებს.

კიდევ უფრო წარმტაცი, კიდევ უფრო მშვენიერი გახდება რუსთავი უახლოეს ხანში. არ შეიძლება გულგრილად უსმინოთ საბჭოთა საქართველოს პარლამენტის წევრს, რუსთავის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს რუსუდან ჯაფარიძეს, როცა იგი ქალაქის პერსპექტივაზე საუბრობს.

— ახალი სამრეწველო ობიექტები ამ უახლოეს წლებში არ აშენდება — ამბობს იგი. მთელი ყურადღება საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზეა გადატანილი. დიდი სახსრებია გამოყოფილი კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისათვის. უკვე საფუძველი ჩაეყარა კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობას იალღუჯის მთაზე. იქ აიგება მუშათა დასასვენებელი სახლები, ღამის სანატორიუმები, მოეწყობა ბავშვთა საზაფხულო ქალაქი თავისი კინოთეატრებითა და სპორტული მოედნებით. კულტურის პარკი საბაგირო გზით დაუკავშირდება ცენტრალურ ნაწილს. აშენდება მეორე ხიდი მდინარე მტკვარზე, რომელიც ქალაქის მარჯვენა ნაპირს უმოკლესი გზით დააკავშირებს სამრეწველო ობიექტებთან. მალე დაიწყება თოთხმეტსართულიანი სასტუმროს მშენებლობა. აიგება რუსთავის სახელმწიფო თეატრი, ქალაქის ქუჩებში გამოჩნდება კომფორტული ტროლეიბუსები... რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალო, ამბობს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე და კეთილი ღიმილით ებადრება სახე.

რუსთავის შესახებ ვახუშტი დღეს ალბათ ასე იტყოდა:

— კვლავ იალღუჯის აღმოსავლეთით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი. არამედ გამოსავალსა ბერქა ყაენისას მოოხრდა... მრავალსა წელსა იყო იგი ოხერ, შემდგომად მოვიდნენ ხალხნი ფრიად მუშაკნი, გონიერნი და ძლიერნი, აღაშენეს ქალაქი კვალად უდიდეს, ვითარცა ძველი, სადაც იდნობის ფოლადი უმტკიცესი რვალისა, იქსოვის ძაფი საკვირველი და კეთდების დუღაბი აღსაშენებლად სრა-სასახლეთა დიდთა...

თენგიზ ლეკვეიშვილი

ჯილდო — ვერცხლის დიდი მედალი

ქართული ჩაი სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოში. ეს კიდევ ერთხელ ცხადყო მებაღეობის საერთაშორისო გამოფენამ, რომელიც ამას წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ერფურტში გაიმართა.

გამოფენაში მონაწილეობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირი, ბულგარეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია, შვეცია და ავსტრია.

საბჭოთა პავილიონში თავისი მიღწევები წარმოდგენილი ჰქონდა 120-ზე მეტ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობასა და სამეცნიერო დაწესებულებას. გამოფენის ბაზაზე მოეწყო ნატურალური ექსპონატების ხუთი დათვალიერება. საბჭოთა პავილიონი ხუთსავე დათვალიერებაში მონაწილეობდა.

დამთვალიერებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ქართული ჩაის სელექციურმა ჯიშებმა.

საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით, გამოფენაზე წარდგენილი ექსპონატებისათვის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაჯილდოვდა საპატიო სიგელითა და ვერცხლის დიდი მედლით.

ეს ჯილდო ქართველ მეცნიერთა თავდადებული შრომის კიდევ ერთი დიდი აღიარებაა.

ქორწილი ოკეანეში

თბომავალ „შოთა რუსთაველს", რომლითაც ახლა 750 ინგლისელი და ავსტრალიელი ტურისტი მოგზაურობს, დიდი სიხარულით შეხვდნენ ახალი ზელანდიის ნავსადგურ ტიმრაში. გემის მოსვლას განსაკუთრებული მოუთმენლობით ელოდნენ მისტერ და მისის ფლინების სახლში, რადგანაც თბომავალს ინგლისიდან მოჰყავდა მათი შვილი და სარძლო. ახალგაზრდებმა გაიგეს, რომ კაპიტნებს უფლება აქვთ რეგისტრაციაში გაატარონ ქორწინება და გადაწყვიტეს დაქორწინებულიყვნენ გემზე, ღია ოკეანეში, მშობლიური ნაპირების მისადგომებთან.

გემის კაპიტანმა ელიზბარ გოგიტიძემ საქმროსთან მიიყვანა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი საცოლე. თბომავლის ეკიპაჟმა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს სუვენირები გადასცა.

ტიმრის ნავსადგურში ახალდაქორწინებულებმა და მათმა ახლობლებმა ელიზბარ გოგიტიძე ქორწილში მიიპატიჟეს.

მეგობრობა გზად და ხიდად

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებთ ბრატისლავა-რაჩისა და ამბროლაურელ მევენახეებს.

ჩეხოსლოვაკელები სამჯერ იყვნენ რაჭაში, ინახულეს სახელგანთქმული ალექსანდრეულის ზვრები, ჭაშნიკი გაუსინჯეს საქვეყნოდ ცნობილ ხვანჭკარას.

ამ ცოტა ხნის წინათ კი რაჭველი მევენახეები ესტუმრნენ რაჩელ მევენახეებს. მეგობართა შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის მიწაზე ორი ქვეყნის ხალხთა ზეიმად იქცა. მასპინძლებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს სანიმუშოდ მოვლილი ზვრები და ღვინის ქარხნები.

ამბროლაურელები ეწვივნენ კრალასა და ბრნოს, სახელგანთქმულ ბალნეოლოგიურ კურორტ პეშჩანს. სტუმრებმა გულით მოილხინეს რაჩულ ქორწილში.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ამბროლაურელმა მევენახეებმა წერილი გაუგზავნეს რაჩელ მეგობრებს და სტუმრად მოიწვიეს.

სასურველი სტუმრები

თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე არნოშტ სილანი და მისი მეუღლე ზდენა სილანი, რომელმაც ჩეხურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი".

ჩეხოსლოვაკელი სტუმრები გაეცნენ ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, დაათვალიერეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, ეწვივნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, იმოგზაურეს მცხეთაში, ნახეს ჯვარი და სვეტიცხოველი, შეხვდნენ ქართველ ჟურნალისტებს.

დილით ადრე ბადით ხელში...



სურათზე: სოხუმელი კოლმეურნე მეთევზეები. ზევით — მეთევზეთა ბრიგადირი ალექსანდრე მიმონიშვილი.

ვალერიან ჭუჭიტაშვილის ფოტო



დიდი თეატრის დიდი რეჟისორი



ვინმეს იქნებ გადამეტებულადაც ეჩვენოს ნათქვამი: დიდი თეატრის დიდი რეჟისორი. მაგრამ არა, ჩვენი ქვეყნის უპირველეს თეატრს მართლაც რომ ღირსეული მთავარი რეჟისორი ჰყავს. იოსებ თუმანიშვილის სახელი აღიარებულია მთელი ჩვენი ქვეყნის თეატრალურ საზოგადოებაში. 60 წელს მიღწეულმა ძალიან ბევრის გაკეთება შეძლო და, რაც მთავარია, მის ჭაბუკურ ენერგიას ჯერ მიხვალიც არ დაჰკლებია. კვლავაც ქმნის, ძერწავს, ხრულყოფს...

თეატრსა თუ კინოს, საკონცერტო დარბაზებსა თუ საერთაშორისო ფესტივალებს, ყველაფერს სწვდება ჩვენი ღირსეული თანამემამულის მომადლებული ნიჭი.

ისეთ ადამიანებს, როგორიც იოსებ თუმანიშვილია, ჟურნალისტებისათვის დრო ძალზე მცირე რჩება, მაგრამ, როცა გაიგო, გაზეთ „სამშობლოს" რედაქციიდან ვიყავი, საქმე გვერდზე გადადო და სასაუბროდ მიმიწვია.

დაიბადა თბილისში. საშუალო სკოლაშივე შეიყვარა თეატრი. — პირველი სასცენო ნათლობაც სკოლაში მიიღო.

ერთ-ერთ პედაგოგს იუბილეს უხდიდნენ. საკონცერტო განყოფილების რეჟისორობა იოსებს მიანდეს და, წარმოიდგინეთ, 15 წლისამ ისე ოსტატურად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, რომ სტუმრად მოსულ ცნობილ ხელოვანთა ყურადღებაც დაიმსახურა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ არჩევანზე არც უფიქრია — იცოდა, ვინც უნდა გამოსულიყო, ალექსანდრე მიქელაძისა და გიორგი სულიაშვილის რეკომენდაციით მოსკოვში ვახტანგ მჭედლიშვილის სტუდიაში ჩააბარა მისაღები გამოცდები (ამ სტუდიას შემდგომში სათავეში შალვა დადიანი ედგა). სტუდიაში ასწავლიდნენ ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები ნიკოლოზ დემიდოვი, ქსენია კოტლუბაი, ლეონიდ ვოლკოვი, ელიზავეტა სარიჩევა. აქ მის მიერ განხორციელებულ ლევან ყიფიანის სპექტაკლს „სამეგრელოს მთავარი ლევან ბატონიშვილი" დიდი მოწონება ხვდა. შემდეგ იოსები ზავადსკის სტუდიაში ეუფლება სარეჟისორო ხელოვნებას.

ახალგაზრდა შემოქმედის პირველ სპექტაკლებს სპეციალისტები დადებით შეფასებას აძლევენ. ქართველ რეჟისორს მოსკოვის თეატრები სიამოვნებით იწვევენ და ისიც უანგაროდ ემსახურება საყვარელ საქმეს „მუშათა სამხატვრო თეატრში", დრამისა და კომედიის თეატრში, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში. იოსებ თუმანიშვილს იმხანად მუშაობა უხდებოდა სტანისლავსკის, ნემიროვიჩ-დანჩენკოს, მეიერხოლდის, ტაიროვის, აპელინის მხარდამხარ.

იზრდება ქართველი ხელოვანის ოსტატობა, ხალხს ნიჭს წლობით მიღებული გამოცდილებაც ემატება. 40 წლის ასაკში იგი უკვე მოსკოვის ოპერეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. დგამს ისეთ სპექტაკლებს, როგორიც არის მილუტინის „ტრემბიტა", დუნაევსკის „თავისუფალი ქარი", სოლოვიოვ-სედოის „ყველაზე ძვირფასი", შტრაუსის „ბოშათა ბარონი". პირველი დიდი აღიარებაც მალე მოდის — იოსებ თუმანიშვილს „ტრემბიტას" დადგმისათვის სახელმწიფო პრემია ენიჭება.

საოპერეტო თეატრის შემდეგ ქართველი რეჟისორი სათავეში უდგას მოსკოვის პუშკინის სახელობის თეატრს.

1963 წლიდან ქვეყნის უპირველესი თეატრის — მოსკოვის დიდი თეატრის მთავარი რეჟისორია.

შემოქმედის ცხოვრებაში დადგა პერიოდი, როდესაც მის ყოველ ნამუშევარს, ყოველ ჩანაფიქრს აქ თუ უცხოეთში საბჭოთა თეატრალური ხელოვნების საზომად მიიჩნევენ. და იოსებიც ამართლებს ამ უდიდეს ნდობას. საკმარისია დიდ თეატრში მოხვდეთ და ნახოთ ვერდის „დონ-კარლოსი", ჩაიკოვსკის „მაზეპა", ხოლმინოვის „ოპტიმისტური ტრაგედია", ან მურადელის „ოქტომბერი", რომ დარწმუნდეთ ამ კაცის შემოქმედების სიდიადეში.

ის, რომ დიდი თეატრის გასტროლებმა იტალიაში წარმატებით ჩაიარა, იოსებ თუმანიშვილის დამსახურებაც არის. იტალიის გაზეთებში ღირსეულად შეაფასეს ჩვენი თანამემამულის ნიჭი და მას მრავალი გულთბილი სტრიქონი მიუძღვნეს.

აღსანიშნავია, რომ იოსებ თუმანიშვილი ჩვენი ქვეყნის რეჟისორებს შორის პირველი მიიწვიეს ლა-სკალაში სპექტაკლის დასადგმელად. მისი რეჟისორობით განხორციელებულმა ოპერა „ხოვანშჩინამ" იტალიელ მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ძნელია ერთ საგაზეთო წერილში სრულყოფილად აისახოს იოსებ თუმანიშვილის შემოქმედება. უკვე ნათქვამს კიდევ რამდენსამე სტრიქონს დავუმატებთ, ხოლო რაც მკითხველს ვერ გავაცანით — მომავალში სათქმელად ვიტოვებთ.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ყველა მსოფლიო ფესტივალის სამხატვრო ნაწილს, როგორც წესი, იოსებ თუმანიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ უკანასკნელ პერიოდში ქართველი რეჟისორი პარიზის ხშირი სტუმარია. ფრანგ თეატრისმოყვარულებს მალე ექნებათ შესაძლებლობა თავიანთ სცენაზე ნახონ ჩვენი თანამემამულის მიერ განხორციელებული ოპერა „თავადი იგორი".

მართალია, მოსკოვში მოღვაწეობს, მაგრამ მშობელ მხარესთან კავშირს არ წყვეტს. მისი რეჟისორობით თბილისის თეატრებში რამდენიმე დადგმა განხორციელდა. თუმანიშვილის მადლიანი ხელი ქართულ კინოსაც მისწვდა, ნიკოლოზ სანიშვილთან ერთად გადაიღო კინოფილმი „დავით გურამიშვილი". იგი აქტიურად მონაწილეობს საქართველოს მიერ მოსკოვში გამართულ ყველა დეკადისა და მხატვრული შემოქმედების დათვალიერებაში.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი იოსებ თუმანიშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. ბევრი მისი ყოფილი მოწაფე ახლა გამოჩენილი მსახიობია.

...60 წლისაა, მაგრამ მის შემოქმედებით ენერგიას მიხვალიც არ დაჰკლებია, კვლავაც ქმნის, ძერწავს, სრულყოფს, ცდილობს ადამიანთა გულებს კიდევ მეტი სიხარული და ბედნიერება შთაბეროს.

რეზო მაჭავარიანი,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.
მოსკოვი

ძეგლის ყველა მეგობარს!

ჩვენმა მრავალტანჯულმა ერმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე უამრავი ხელნაწერი შექმნა. ნაწილი ამ სულიერი საუნჯისა მრავალ თაობათა მზრუნველობით გადაარჩინა და გადმოსცა შთამომავლობას. ამ ეროვნული მემკვიდრეობის უმთავრესი ნაწილი — ათი ათასამდე ხელნაწერი და ოცდაათი ათასამდე საბუთი — ამჟამად საიმედოდ არის დაცული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალ, სპეციალურად აგებულ შენობაში.

ჟამთა სიავემ ჩვენი წერილობითი ძეგლების მრავალი ძვირფასი [illegible] შეგვიწირა. ბევრი ხელნაწერი ახლაც ჩვენი ქვეყნის მიღმა, ქართული კულტურის უძველეს კერებშია — იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონზე და სხვაგან. ბევრი რამ იქიდანაც გატანილია ევროპისა და აზიის საცავებში. ზოგი კერძო პირთა ხელშიაც არის მოხვედრილი.

ჩვენი ვალია ღირსეულად [illegible], რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელია. სადაც კი ხელი მიგვიწვდება — ჩვენი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, მოძმე რესპუბლიკებსა თუ შორეულ ქვეყნებში — უნდა ვეცადოთ ჩვენი ხელნაწერების ღირსების სამშობლოში დაბრუნებას, თუ ეს შეუძლებელია, მათი ფოტოპირებისა ან მიკროფილმების გადაღებას.

ჩვენს წერილობით მემკვიდრეობას ბევრი ერთგული [illegible] მოუპოვება. მრავალნი ახლაც გულდაგულ [illegible] ჩვენს ხელნაწერთა საცავ საგანძურს შესწირეს და შესძინეს ხელნაწერთა [illegible], რომ ჩვენი ხალხის წიაღში, ოჯახებში, ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლი არის შემორჩენილი [illegible] „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი [illegible], რაც [illegible] „ვეფხისტყაოსნის" ნუსხა, მაგრამ [illegible] ერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი შეიძინა, მაგალითად თუ შესძინა ინსტიტუტმა [illegible] სახარების ფრაგმენტები, XV ს. „ამირან-დარეჯანიანის" და საბა სულხან-ორბელიანის ლექსიკონის ნუსხები, XVII-XVIII სს მრავალი საბუთი და სხვა.

ახლად აღმოჩენილი უძველესი წიგნი თუ სიგელ-გუჯარი — ეს ხომ ჩვენი წარსულის ახალი ფურცელია! ჩვენი დღევანდელი მეცნიერების ახალი წყარო! ჩვენი სულიერი კულტურის ახალი ძეგლი! მაშ დავეხმაროთ ყველა!

ჩვენი ერთობლივი, საყოველთაო მონდომებაც ამას ეხება: არ [illegible] ნუ დავკარგავთ ნურც ერთ, ჩვენს დრომდე მოღწეულ ხელნაწერს! გულდაგულად ვეძიოთ, ხმა გავცეთ ყველას, შევაგროვოთ, გამოვავლინოთ და [illegible] ხალხში გაფანტული ხელნაწერები, სხვა წერილობითი ძეგლები თუ ფრაგმენტებიც.

ვაცნობოთ ხელნაწერთა ინსტიტუტს, შევწიროთ ან შევაძინოთ, რომ ჩვენს წერილობით საუნჯეს მივუჩინოთ საიმედო ადგილი ეროვნულ საგანძურთსაცავში.

ჩვენც მოვიხადოთ ვალი ჩვენი ხელნაწერების წინაშე!

თბილისი, ზ. რუხაძის ქ. №1,
ხელნაწერთა ინსტიტუტი

არნ. ჩიქობავა [illegible]

ეს მოწოდება ჟურნალ „ძეგლის მეგობრის" მეათე-მეთერთმეტე ნომერში დაიბეჭდა. მას ხელს აწერენ ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, ცნობილი მეცნიერები, მწერლები, პოეტები — კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, ლადო გუდიაშვილი, გიორგი წერეთელი, ილია აბულაძე, ირაკლი აბაშიძე, შალვა ამირანაშვილი, ლევან გოთუა, ნიკო კეცხოველი, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ თხოვნით მიმართა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებს, გადაებეჭდათ ეს მოწოდება, რათა, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველას მისწვდეს ჩვენი მეცნიერებისა და მწერლების ხმა".

მართალია, დაგვიანებით, მაგრამ სიამოვნებით ვასრულებთ „ძეგლის მეგობრის" სარედაქციო კოლეგიის ამ თხოვნას და, ვიმედოვნებთ, რომ ეს საშვილიშვილო საქმე გაზეთ „სამშობლოს" მკითხველებშიც, ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეებშიც ჰპოვებს მხარდაჭერას.

„აღდგენილმა მამულმა დაბადა მამულის სიყვარული, მამულიშვილობა და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნეს".

ილია ჭავჭავაძე

ახლა შეიძლება ითქვას, რომ 4.000 წელიწადია განუწყვეტლივ ცხოვრობენ მტკვრისა და არაგვის წყალშესაყართას ლეგენდარულ ნათესავთთავრის — ქართლოსის მემკვიდრეები. ასეთია ქართული საბჭოური არქეოლოგიის უკანასკნელი ცნობა „დიდი მცხეთის" ისტორიიდან აქ დიდი არქეოლოგიური გათხრების დაწყებისთანავე აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მცხეთა ბრინჯაო-რკინის ხანაშიც ქალაქი უნდა ყოფილიყო, ამასთანავე, საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული". უძველეს ქართულ საისტორიო წყაროებს ჩვენი ძველი დედაქალაქის სახელად ქართლი მიაჩნიათ. ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მიხედვით ქართლი სამეფოს სახელიც არის და დედაქალაქის სახელიც, მაგრამ ისინი კარგად არჩევენ დედაქალაქის უძველესი ნაწილის სახელს — ქართლი, სამეფოს სახელისაგან — ქართლი ყოველი — ყოველი ქართლი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ" და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა", მოგვითხრობენ „ძუელი მცხეთის", „ძუელი ქალაქის". „არმაზისა" და „მცხეთაჲს" შესახებ. ისინი არჩევენ ძველი დედაქალაქის ორ უმთავრეს ნაწილს — ესენია. „არმაზით კერძი ქალაქი" და „მუხნარით კერძი ქალაქი"

ამ დიდი ქალაქის მშენებლობას მიაწერენ ქართლოსის პირველსა და გმირთა-გმირ ძეს მცხეთოსს, რომელმაც „აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკურისა და არაგვისასა, და უწოდა სახელი თვისი მცხეთა". ისიც დამახასიათებელია, რომ „ფარნავაზ... პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსის ნათესავთაგანი" ამაგრებს მისი წინაპრების აშენებულ ქალაქს: „ამან ფარნავაზ მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ".

ასე ადრინდელია ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად მცხეთის გაქალაქება და მისი გადაქცევა დედაქალაქად — სამეუფეო ქალაქად.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ჩვენი ძველი დედაქალაქის სახელებისა ასეთი ჩანს ქართლი, არმაზი, მცხეთა. ტრადიციულად მცხეთას უკავშირებენ მესხთა სატომო სახელს.

მცხეთის ისტორიისათვის ბევრი საყურადღებო რამ შემოინახა პლინიუსის, პტოლემაიოსის, დიონ კასიოს კოკეიანის, მოვსეს ხორენაცის, ფავსტოს ბუზანდაცისა და სხვათა ცნობებმა.

ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროთა ახლებურ ანალიზსა და მათს ერთგვარ რეაბილიტაციას მოჰყვა შედეგად დიდი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ანტიკური ხანის ქართული ქალაქებისა, პირველ რიგში კი მცხეთისა. ეს იყო ამ ოცდაათიოდე წლის წინათ წამოწყებული საქმე, რომელსაც მეთაურობდნენ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები: ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია.

როგორც ცნობილია, ქართველ არქეოლოგთა მუშაობა დიდი აღმოჩენებით დაგვირგვინდა. აღმოჩენილია ძველი დედაქალაქის შიდაციხე — არმაზციხე, არმაზისხევის ერისთავთა (პიტიახშთა) რეზიდენცია და განსასვენებელი. გაითხარა სამთავროს უძველესი სამაროვანი; დადგენილია ძველი დედაქალაქის ფრიად მნიშვნელოვანი უბნები: სარკინე ქალაქი და კლდეზე გამაგრებული სისამორა სტრაბონისა. არქეოლოგიურმა გათხრებმა გაამდიდრა ქართული საისტორიო მეცნიერება პირველხარისხოვანი წარწერებით, ძველი ქართული ოქრომჭედლობისა და ხუროთმოძღვრული ძეგლებით.

ქალაქის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი უძველესი ხუროთმოძღვრული ძეგლები კლდეში ამოკვეთილ ფოსოებში ჩასმულ ქვათლილთა საძირკველზე ამოყვანილი ზღუდე-გალავნის, გოდოლ-კოშკების გრანდიოზული ნანგრევებისა და ეგრეთ წოდებული სვეტებიანი დარბაზის სახით არის შერჩენილი. ეს გახლავთ საქალაქო ნაგებობათა უძველესი ჯგუფი, რომელსაც არქეოლოგიურ ლიტერატურაში „არმაზციხე I-ის" სახელით იცნობენ. არმაზციხის უძველესი ნაგებობების ქვათლილები ერთმეორესთან უწყვეტით არის გადაბმული და, ცხადია, უდუღაბოა. ქრონოლოგიურად ამ რიგის ნაგებობები გავრცელებული ჩანს ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნემდე, ესე იგი არმაზციხე I მშენებლობის გარკვეულ ხელოვნებას გულისხმობს და დროის განსაზღვრული მონაკვეთისათვის არის დამახასიათებელი (IV-III საუკუნეები). ამ რიგის ნაგებობები, არმაზციხის გარდა, აღმოჩენილია წიწამურის სერზე სარკინეში, უფლისციხეში, გორისციხეზე და სხვაგან; ესე იგი ხაერთოდ არის დამახასიათებელი ქართული ქალაქმშენებლობის უძველესი სა-

მელიც, როგორც 1938 წელს მცხეთაში აღმოჩენილ ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ, ავრელი აქოლისს ჰქონია დაკავებული.

მცხეთაში საქალაქო ცხოვრების დაწინაურების მანიშნებელი ისიც გახლავთ, რომ ასეთი თანამდებობა ბერძნულ-რომაულ სამყაროში ცნობილი არ არის და ბერძნული ტერმინი არქიძობრაფოს (ქართულად მხატვართუხუცესი) ადგილობრივი საჭიროებისათვის, ჩვენს ძველ დედაქალაქში არსებული თანამდებობის პირის წოდების გამოსახატავად არის შექმნილი.

ასევე ფრიად საყურადღებო წარწერები აღმოაჩინეს ქართველმა არქეოლოგებმა მცხეთის სხვა უბნებში, მაგრამ ყველასგან მაინც არმაზის ხევის ეპიგრაფიკული ძეგლები გამოირჩევა. ჯერ ერთი, ახალი სახელებით შეივსო ქართლის სახელმწიფო მოღვაწეთა სია და ჩვენთვის ცნობილნი გახდნენ: ქსეფარნუგ მეფე, ბაზილევსი ფ. ლ დადი, პიტიახშები — შარაგასი, ჯავახი, ასპარუგი, აგრიპა, ბერსუმა, ეზოჲსმოძღვარი იოდმანგანი, ჯავახის მეუღლე კარპაკი, ჯავახის ასული სერაფიტა, ქალაქის მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელი აქოლისი, მისი მეუღლე ბევრაზურია და სხვა. ირკვევა, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მაინც კანონიზებულია ფორმა: „ქართველთა მეფე — მეფე დიდი". წარწერების მიხედვით ასეთ ტიტულს ატარებენ: ფარსმანი, მითრიდატე, ქსეფარნუგი.

ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა გიორგი წერეთელმა, აკაკი შანიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა ბრწყინვალე გამოკვლევები უძღვნეს ამ წარწერებს, ამოიკითხეს, თარგმნეს და ფართოდ გააშუქეს მათი ისტორიული მნიშვნელობა. ამის შედეგად გაირკვა პიტიახშატის ინსტიტუტის ისტორია და დადგინდა ამ პოლიტიკური ინსტიტუტის წარმომავლობით ადგილობრიობა. გაირკვა, რომ სამეფოს სათავეში დგას „მეფე დიდი"; მეფესთან არსებობს ერისთავთა (პიტიახშთა) და ეზოსმოძღვართა სახელოები, ერისთავებსაც ჰყავთ მონები, მსახურნი და ხელქვეითნი. ისიც ცხადი შეიქნა, რომ ეს სახელოები მემკვიდრეობითი გამხდარა. ასეა წარწერების მიხედვით პირველ საუკუნეებში მაინც (შარაგას ერისთავი ძეა ჯავახ ერისთავისა; ჯავახ ერისთავი — ასპარუგ ერისთავისა; აგრიპა ფარსმან მეფის ეზოჲსმოძღვარია, ხოლო აგრიპას ძე იოდმანგანი ქსეფარნუგის ეზოჲსმოძღვარი გამხდარა). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „მეფე მითრიდატე, მეფე დიდი" არის „ძე ფარსმანისა, მეფისა დიდისა", ხოლო არმაზის ბილინგვის ფარსმან მეფის ძეა იბერთა დიდი მეფე ქსეფარნუგი, მაშინ კიდევ უფრო აშკარა გახდება, რომ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ინსტიტუტები გარკვეული დინასტიის ხელშია და ქვეყნის სახელმწიფო წყობას ღრმად ფესვგამდგარი მემკვიდრეობითი ხასიათი აქვს. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი მცხეთაში აღმოჩენილი წარწერების კვლევისა, რასაც წლების მანძილზე აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ახორციელებს. აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა გამოარკვია, რომ სამეფოს ოფიციალურ დოკუმენტთა შესადგენად ბერძნული და არამეულის ის შტო გამოიყენებოდა, რომელსაც მან არმაზული უწოდა, ხოლო უკანასკნელი ქართულთან ახლომდგომად ცნო და ქართული დამწერლობის ისტორიისათვის ფრიად საყურადღებო მოსაზრებანი წამოაყენა.

დამახასიათებელია აღინიშნოს, რომ წარწერათა ერთი ჯგუფი მაინც ოქრომჭედლობისა და ტორევტიკის ბრწყინვალე ნიმუშებზეა გამოყვანილი, ესე იგი. ეს უკანასკნელები განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდებიან ადგილობრივ წრეს — ან მცხეთის საოქრომჭედლო სახელოსნოებშია ნაკეთები, ან მცხეთელთა შეკვეთით მაინც. ასეთია სრულიად უყოყმანოდ ოქროს ბეჭედი, რომლის თვალზე ამოკვეთილია ერისთავის პორტრეტი და მის გარშემო წარწერა „ასპაურუკის პიტიაქსეს". ცხადია, ამ ჯგუფს მიეკუთვნება არმაზისხევის პირველსამარხში აღმოჩენილი ოქროს სარტყელი, რომლის ერთ-ერთი ბალთის თვალზე ახალგაზრდა ქალ-ვაჟის პორტრეტული წყვილია ამოკვეთილი და თანაც საგრძნობლად ინტიმური წარწერაა ამოჭრილი: „ჯავახი სიცოცხლეა ჩემი" — წერს ახალგაზრდა ქალი სახელად „კარპაკ". იგივე შეიძლება ითქვას ბერსუმას ლანგარისა და არაერთ სხვა სამკაულთა შესახებ.

ძველი ოქრომჭედლობისა და ვერცხლმქანდაკებლობის უბადლო ძეგლებია აღმოჩენილი არმაზისხევისა და ბაგინეთის სარკოფაგებში, ქვის სამარხებში, მავზოლეუმის ტიპის აკლდამებში; ასეთებია, მაგალითად: ძვირფასი თვლებითა და გამოსახულებებით მოჭედილი ოქროს სარტყელი, ჭვირული და ნაირ-ნაირი მოყვანილობის ალმანდინებით მოოჭვილი ყელსაბამი, რომელსაც დიდი და ნატიფად მოჭედილი კულონი ახლავს; უნაკლოდ ნაგრეხი ოქროს ყელსაბამი, რომლის ფირუზითა და ზურმუხტით მოჭედილ მრგვალ კულონს ამეთვისტოსაგან გამოკვეთილი ვერძისთავის მაღალი რელიეფი ამკობს და ალმანდინით მოჭედილი პატარა სანელსაცხებლე (ფლაკონი) ჰკიდია. ასევე ნატიფად ნაკეთები შუბლსამკაულები (დიადემები) საყურეები, ბეჭდები, სამაჯურები, ოქრომკედი თუ ნაირ-ნაირი ვარდულები და ტანსაცმლის შესამკობი წკარუნა კილიტები და ღილები.

გვახსოვდეს ჩვენი წარსული

განსაკუთრებით მდიდრულად არის წარმოდგენილი სამეფო კარის წევრთა და პიტიახშთა სამარხებში ვერცხლეული. მათ შორის: ვერცხლის პინაკი, რომლის ფსკერზე ახალგაზრდა ქალღმერთის წელსზედა გამოსახულებაა დარჩილული. ქალღმერთს მარცხენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს: ამ უბადლოდ ნაქანდაკევ მაღალ რელიეფს ამკობს ოქროფერილი წამოსასხამი, მხარზე გადმოვარდნილი თხის ტყავი და შუბლზე გადაჭერილი ოქროფერილი ლენტი; ვერცხლის პინაკი, რომლის ფსკერზე ახალგაზრდა მამაკაცის ბიუსტი დგას, ვერცხლის ქანდაკოვანი გარსაკრავები სარეცლის ფეხებისა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ბაგინეთის სარკოფაგში აღმოჩენილი ფასკუნჯის სახოვანი 4 ფეხი მეფის ასულის სარეცლისა; ვერცხლის ნაირ-ნაირი საღვინეები და მრავალი სხვა.

ოქრომჭედლობის ძეგლთა თვალსაჩინო ნაწილი, როგორც აღინიშნა, ადგილობრივია ან მცხეთის მკვიდრთა დაკვეთით არის ნაკეთები, მაგრამ უმეტესი ნაწილი რომ სავაჭრო ურთიერთობის ნაყოფია, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამ ურთიერთობის პირდაპირი მაჩვენებელია სამარხებში აღმოჩენილი დიდძალი ოქრო-ვერცხლის ფული. რომაული აურეუსები და დინარები პართულ დრაქმებთან ერთად კარგად ასახავენ მცხეთის ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობას, როგორც რომაულ სამყაროსთან (დასავლეთთან), ისე აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებთან. ამრიგად. მცხეთა არა მარტო სამეუფეო ქალაქია — პოლიტიკური ცენტრი სამეფოსი, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ცენტრიცა ჩანს დედაქალაქობის ხანაში.

არქეოლოგიური აღმოჩენების გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა შეიქმნას ქალაქის მოსახლეობის სოციალური და პროფესიული დანაწილებისა და შედგენილობის შესახებ. აღმოჩენილი ძეგლები მკაფიოდ გვიჩვენებენ, რომ ჩვენს ძველ დედაქალაქში ფართოდ არის წარმოდგენილი ნაწარმი მეთუნეებისა (მეკრამიტეები, მეაგურენი, მეჭურჭლენი), ქვითხუროებისა, კვერითხუროებისა (მჭედლებისა საზოგადოდ), ჭიქისმოქმედთა, ქვისმკვეთელთა, ოქრომჭედელთა, წამწერელთა, ხიდმშენებელთა და ასე შემდეგ.

ზემოჩამოთვლილიც კარგად მიუთითებს დედაქალაქობის ხანის მცხეთის მოსახლეობის ერთ-ერთი დიდად მნიშვნელოვანი ფენის — ხელოსანთა როლზე იმდროინდელ საქალაქო ცხოვრებაში. როგორც ჩანს, ანტიკური ხანის ქართლის ქალაქები მნიშვნელოვანი სახელოსნო ცენტრებია — მცხეთა მით უფრო.

როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგები გვიჩვენებენ, ქართლის ქალაქთა შორის ყველაზე დიდი ჩვენი ძველი დედაქალაქი იყო. სხვებისაგან მცხეთა პირველ რიგში იმით გამოირჩეოდა, რომ ის იყო ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული, სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი, ამასთანავე, უდიდესიცა და სოციალურად და ეთნიკურად ჭრელი. ციხე-სიმაგრეთა რთული სისტემა, შიდაციხე, მრავალუბნიანობა, სამეფოს უზენაესი საკულტო ადგილი და მეფეთა და პიტიახშთა რეზიდენცია, რომელსაც თან ახლდა მდიდარი სასოფლო რაიონი — აგარაკები და სავაჭრო მაგისტრალთა დიდი გზაჯვარედინი, ხდიდა მცხეთას თავისი დროის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ცენტრად.


ჩვენი ძველი დედაქალაქის ასეთმა მდგომარეობამ განაპირობა, როგორც ჩანს, არქეოლოგიურ ძეგლთა ისეთი კონცენტრაცია, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე მოპოვებული მასალა არა მარტო მცხეთის ისტორიას წარმოგვიდგენს, არამედ სამეფოს საერთო ვითარებასაც და მეზობელი ქვეყნების ანტიკური ხანის ისტორიისათვის ბევრ საყურადღებო მასალას გვაწვდის.


თხუთმეტი საუკუნის წინათ მცხეთამ დედაქალაქობა თბილისს დაუთმო, მაგრამ აწ ქალაქ-მუზეუმად ქცეულს ჩვენს ძველ დედაქალაქს თავისი წვლილი შეაქვს ქართველი ხალხის ახალ ცხოვრებაში. დღევანდელი საქართველოს ამ ერთ-ერთ მოწინავე რაიონს ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავს ჩვენი ქვეყნის მკვიდრი თუ სტუმარი ჯვრითა და სვეტიცხოვლით, ბებრისციხითა და ბაგინეთით, ქართლის ციხითა და არმაზით. სამთავროს ტაძრითა და სამაროვნით, წიწამურითა და სარკინე ქალაქით — ქრთული კულტურისა და ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლებით, რომელთაც საოცრად უვლის, იცავს და ინახავს მისი ღირსეული მემკვიდრის — ქართველი კაცის მარჯვენა.


ანდრია აფაქიძე,
პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ჩვენი ძველი დედაქალაქი









სურათებზე: (მარცხნიდან) იონური სვეტისთავი — ძველი წელთაღრიცხვის III-II საუკუნე; არმაზციხე, სვეტებიანი დარბაზი — ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნე; სამეფო აკლდამა — I საუკუნე; არმაზხევის საერისთავო სამარხი-სარკოფაგები — II საუკუნე

გვახსოვდეს ჩვენი წარსული

კვლავ აღიარება

სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ შორს, მის ფარგლებს გარეთაც. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი არჩეულია პოლონეთისა და ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიების, გერმანიის ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად. ამას წინათ ნიკოლოზ მუსხელიშვილს, პირველად საბჭოთა მეცნიერებს შორის, გადაეცა საერთაშორისო პრემია „მოდესტო პანეტი“, რომელიც ოქროს მედალთან ერთად ორ წელიწადში ერთხელ ენიჭებათ მეცნიერებს ფუნდამენტური შრომებისათვის მათემატიკისა და მექანიკის დარგში.

ამ დღეებში ცნობილი გახდა ქართველი მეცნიერის დამსახურებათა ახალი მაღალი შეფასება. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების ბრძანებულებით აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილს მიენიჭა კირილესა და მეთოდეს სახელობის პირველი ხარისხის ორდენი.

ლენინური სტი-პენდიატი

გიორგი ნიქარაძე ჩვეულებრივი ქართველი ჭაბუკია.

თბილისში გაიზარდა.

უყვარს მეტეხი და ნარიყალა, მთაწმინდა და მავნაბადა.

მწერლებში ილია და დოსტოევსკი მოსწონს.

ქართული თეატრის ერთგულია, ვეფხია ნინოშვილის ხელოვნების თაყვანისმცემელი.

პედოლობითა და თეატრით დავიწყეთ, თორემ გიორგის ცხოვრებაში მაინც მათემატიკას უჭირავს ყველაზე დიდი ადგილი. სკოლის მერხიდან იზიდავს მათემატიკა და ფიზიკა, რესპუბლიკურ თუ საკავშირო ოლიმპიადებზე თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. ნიჭიერ და მუყაით ჭაბუკს აღმზრდელებმა ცხოვრების საკმაურად დიდი ჯილდო — ოქროს მედალი გამოატანეს. გიორგიმ ქართული მეცნიერების ტაძარს მიაშურა და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

დაიწყო ახალი ცხოვრება...

პირველი კურსი მაინც განსაკუთრებული იყო. ახალი საგნები დიდ ყურადღებასა და სიბეჯითეს მოითხოვდა, ჭაბუკიც ბეჯითობდა.

გიორგისთვის მთავარი მაინც ის იყო, რომ საკუთარ ძალაში დარწმუნებული შევიდა უმაღლესი მათემატიკის სამყაროში, რომლის საუკეთესო ქურუმები მისი ლექტორები არიან— აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე, პროფესორები არჩილ ხარაძე და ვლადიმერ ჭილიძე, აკაკი ჯვარშეიშვილი და ადამ ჩხატაური...

ზუსტი მეცნიერების სიყვარულმა მიიყვანა გიორგი მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, სადაც რამდენჯერმე გამოვიდა საინტერესო მოხსენებითა და რეფერატით. ბუნებრივმა ნიჭმა, მეცნიერული კვლევის უნარმა ნათლად იჩინა თავი მის სტუდენტურ ნაშრომში „სამცვლიანი კვადრატული ფორმების წარმოდგენის შესახებ“.

გიორგის სტუდენტური ცხოვრება ყოველდღიურად საინტერესო ხდება.

ნიჭითა და შრომით მიაღწია აღიარებას — ლენინური სტიპენდიატი გახდა.

ლენინური სტიპენდია სტუდენტის უმაღლესი ჯილდოა.

ეს პატივი წილხვდრია იმ ჭაბუკებისა და ქალიშვილებისა, რომლებიც საუკეთესოთა შორის საუკეთესონი არიან.

უყვართ წიგნი.
იციან შრომის ყადრი.
არ სჯერდებიან მიღწეულს.
აქვთ მეცნიერებისაკენ სწრაფვა.
არ უშინდებიან სიძნელეებს.
საკუთარ ნიჭს მიზანშეწონილად წარმართავენ.

და, ბოლოს, არიან კარგი ადამიანები, უყვართ ერი და ქვეყანა, მზად არიან მისი სამსახურისთვის.

ამგვარი შეფასება დაიმსახურა თბილისის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა, ლენინურმა სტიპენდიატმა გიორგი ნიქარაძემ.

ჭაბუკი დიდი გზის დასაწყისშია, რომელიც ხვალ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება.

მათემატიკის სამყარო ხომ ყოველთვის მიმზიდველია, ასე მრავლად რომ ინახავს ამოსახსნელ და ამოსაცნობ პრობლემას.

პრობლემები თავის მხრივ ყოველთვის ელიან ადამიანებს, რომლებიც შეძლებენ მათს გამომზეურებას.

და ემზადება ნიქარაძეც დიდი შეხვედრისათვის.

ჯემალ ქურხული

პრემია პროფესორ ოთარ ჯაფარიძეს


26 იანვარს გაიმართა თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭებას.

როგორც ცნობილია, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის პრემია საზოგადოებრივ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში საუკეთესო ნაშრომებისათვის დაწესებულია 1969 წლიდან და გაიცემა ორ წელიწადში ერთხელ.

შარშან პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი იყო 7 ნაშრომი. ყველა ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და გარკვეული წვლილი შეაქვს ქართული ჰუმანიტარულ მეცნიერების განვითარებაში. ამათგან, ჟიურის გადაწყვეტილებით, რომელშიც შედის უნივერსიტეტის საბჭოს 21 წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის პირველი პრემია მიენიჭა უნივერსიტეტის პროფესორს ოთარ ჯაფარიძეს ნაშრომისათვის — „თრიალეთის არქეოლოგიური გათხრები“.

ნაშრომში აღწერილი, განზოგადებული და კლასიფიცირებულია არქეოლოგიური მასალები როგორც უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ილია ვეკუამ განაცხადა, მასში აღძრულია ძველი ქართველი ტომების ეთნიკური ისტორიის, სხვა ხალხებთან მათი ურთიერთობის პრობლემები, ნაჩვენებია ეგრეთ წოდებული თრიალეთის კულტურის მატარებელი ხალხების მაღალი სამეურნეო და კულტურული დონე. ამასთან პროფესორ ოთარ ჯაფარიძის ნაშრომი დიდად საინტერესოა წინა და მცირე აზიის ძველი ისტორიის მკვლევარებისთვისაც.

ნაშრომს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართული ისტორიული მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.



— ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ!
შენ, ჩვენო ნიჭო, სრბოლავ
და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო
ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო
მალამო...
შენ, აკვნის ჰიმნო, ცრემლო
სამარის...
იბერის ენავ, ენავ თამარის...
დედაო ენავ, დედაო ენავ!

ირაკლი აბაშიძე

ჰეი! შენ გეძახი, ამაყო იბერო!
დედა ვარ მე შენი —
ენა ვარ ქართული.

მირიან მირნელი

ენა და ერი

გიორგი ახვლედიანი,
აკადემიკოსი.

ასე გამოუშიძვამთ პოეტებს თავისი მშობლიური ენის, დედაენის დიდმნიშვნელოვნობა და მისადმი განუზომელი სიყვარული. ხოლო თუ რას წარმოადგენს ენა ობიექტურად, ეს გამოთქმული აქვს მშვენიერი სიმარტივით დიდ მგოსანს აკაკი წერეთელს: „ენაც მას ამბობს, რაც სწერია სხვისაგან გაუგონია, ან თვალს უნახავს და ჰკუას გაუშორ-აუწონია“, სადაც საერთოდ ვენიალურადაა ნაჩვენები, რომ ენაში ასახულია გარესინამდვილე და ამიტომ ენასთანაა დაკავშირებული მეტყველი ადამიანის აზრი — ესაა ენის საშემეცნებო (კოგნიტიური) ფუნქცია; იქვე ნაჩვენებია, რომ ენა ურთიერთობის იარაღია — ესაა ენის საკომუნიკაციო ფუნქცია.

მსოფლიოში 2.500-ზე მეტი ენაა და თითოეულ მათგანს აქვს ზოგი ისეთი რამ თავისებურება, რაც სხვა ენას არ გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე გარე-სინამდვილე ხშირად სხვადასხვაგვარადაა ასახული სხვადასხვა ენაში და ამის შესაბამისად აზროვნებაც არაა ერთნაირი ყველა ენაში, რადგანაც აზროვნება საფუძვლად უძევს გარე-სინამდვილის ასახვა. ენათა შორის განსხვავება ძეტწილად მსოფლმხედველობრივია. მაგალითად, ქართულ ენაში გამოხატულ მსოფლმხედველობით სამყაროში განსხვავებულია სულიერი (ცოცხალი) და უსულო (არაცოცხალი) — პირველს ეკუთვნის ადამიანი და ყოველი სხვა ცოცხალი, მეორეს — ყოველივე სხვა. სამყაროს ასეთი სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია, გამოხატული ქართულსა და რუსულ ენებში, კარგად ჩანს, მაგალითად გრამატიკულ ფორმებში, სახელობრ ბრუნებაში: გამობთ вижу мáльчика, зайца, червякá, მაგრამ: вижу мячик. ოთხივე სახელი ბრალდებითს ბრუნვაშია, მაგრამ პირველი სამი არის სულიერი (ცოცხალი) საგნის სახელები, ხოლო მეოთხე — უსულოსი, ამიტომაა მათ შორის განსხვავება. პირველ სამ სახელს მიუდგება რუსულში кто სახელობითს ბრუნვაში, ხოლო ბრალდებითში кого (кто — мальчик, кого — мальчика, кто — заяц, кого — зайца, кто — червячок, кого — червячка); მეოთხე სახელს (мячик მიუდგება მხოლოდ что — როგორც სახელობითში, ისე ბრალდებითში что — мячик). ქართულ ენაში ასეთი განსხვავება ბრუნებაში არა გვაქვს. მაგრამ ქართულში გონიერსა და უგონოს შორის განსხვავება ჩანს იმავე ვინ და რა ნაცვალსახელების გამოყენებაში: ვინ-ში იგულისხმება მხოლოდ ადამიანი (ვინ — პეტრე, ვინ—ძმა...), ხოლო რა-ში ყოველივე დანარჩენის სახელები (რა-ბურთი, რა—სპილო, რა—ჰაერი).

ცხადია, რომ ამ შემთხვევებში რუსულსა და ქართულ ენებში ასახულია მსოფლმხედველობრივი განსხვავება.

საინტერესოა, რომ სულიერისა (ცოცხალის) და უსულოს (არაცოცხალის) განსხვავება ქართულშიც არის მყავს — მაქვს შმნების ფორმებთან მაგალითად: მყავს ან მიმყავს ბავშვი, ხბო, მაგრამ მაქვს ან მიმაქვს აკვანი, თოკი. ამ მხრივ ქართული თითქოს არ განსხვავდება რუსულისაგან. (веду ребенка, теленка; несу люльку, веревку), მაგრამ განსხვავება მაინცაა: თუ ხელზე აყვანილი მიმყავს, რუსულად ითქმის несу, თითქოს უსულო იყოს (несу ребенка, теленка...).

ასეთივე მსოფლმხედველობრივი განსხვავებაა რუსულსა და ქართულს შორის გრამატიკული სქესის გამოხატვის მხრივ. რუსულ ენას აქვს ფორმები ძუ და ხვადი მგლის, დათვის, ლომის და ა. შ. განსასხვავებლად (волк — волчица, медведь — медведица, лев — львица); ქართულს მათი განსხვავებისათვის ფორმები არ გააჩნია.

შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ენის გრამატიკული კატეგორიები, როგორც წესი, მსოფლმხედველობრივია. ამიტომაა, რომ სხვა ენის შესწავლა ნიშნავს სხვაგვარი აზროვნების, სხვა სამყაროს გაცნობას.

მაგრამ, რამდენ სხვა ენასაც არ უნდა დავეუფლოთ, ჩვენ უფრო გვიყვარს დედაენა და მით უფრო გვიყვარს ივი, კულტურის რაც უფრო მაღალ საფეხურზე ვდგავართ; კერძოდ, რაც უფრო მეტ ენას დავეუფლებით. მით უფრო ღრმად ვეცნობით ჩვენსავე ენას, რადგანაც ის, რაც მხოლოდ მეტ-ნაკლებად ცნობიერად ახასიათებს ენას, მით უფრო ნათლად ვხედავთ მის ნამდვილ ბუნებას.

ენა და ერი

გიორგი ახვლედიანი,
აკადემიკოსი.

ჭანიკურად გვაქვს შეთვისებული, იმას ვაცნობიერებთ. ნათქვამია: ვინც არ იცის სხვისი ენა, იმან თავისიც არ იცისო.

ჩვენ უფრო გვეძდეველება აზრის გამოთქმა დედაენაზე (ან დედაენისებრ შეთვისებულ ენაზე). ცნობილია, რომ სიტყვიერი შემოქმედება უფრო მძლავრია, როცა ის ხდება დედაენაზე და ასე შემდეგ.

ამიტომაა, რომ საბჭოთა კავშირში (და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების) კონსტიტუციაში ხაზგასმითაა მითითებული, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდეს დაინტერესებულ პირთა მშობლიურ ენაზე.

ორიოდე სიტყვა ერის ცნების შესახებ.

როგორც ცნობილია, ერს, როგორც ასეთს, ახასიათებს ოთხი ნიშნულობის საერთოობა — ენისა, ტერიტორიისა, ეკონომიკისა და იმ ფსიქიკური წყობისა, რომელიც გამოიხატება კულტურის საერთოობაში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ენის საერთოობა, რადგანაც იგი უძევს საფუძვლად ადამიანთა ისეთი კოლექტივის შექმნას, რომელსაც ერი ეწოდება. თუ არაა საერთო ენა, რომელშიც, როგორც ითქვა ზემოთ, ასახულია ამ ენაზე მეტყველთა მსოფლმხედველობა, დანარჩენი სამი ნიშნულობის საერთოობა ვერ შექმნის ერს.

ენის საერთოობის თვალსაზრისით, საყურადღებოა აწინკანთა (ციგანთა) ხალხი, რომელსაც ზოგნი ერად თვლიან. ეს ხალხი (აწინკნები) გამოსულა ინდოეთიდან ტალღა-ტალღა V–X საუკუნეებიდან დაწყებული და გაფანტულა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში. მათი ენა (აწინკური) წარმოადგენს ერთერთ ახალ ინდურ ენას, რომელიც, მართალია, დიალექტობრივ დიფერენცირებულია იმ ქვეყნების ენათა გავლენით, სადაც მათ უხდებოდათ ცხოვრება, მაგრამ ძირითადად შენარჩუნებული აქვთ დღემდე საერთო აწინკური ენა, რაც მაჩვენებელია ენის დიდი გამძლეობისა. ამიტომ მიგვაჩნია ენის საერთოობა თითოეულ დანარჩენ საერთოობაზე უფრო მნიშვნელოვნად — მით უფრო, რომ მეოთხე ნიშნულობას (საერთო კულტურაში გამოხატული საერთოობა ფსიქიკური წყობისა) თითქმის მთლიანად გულისხმობს ენის საერთოობა. ამიტომ მიგვაჩნია სწორად ერიგოლ ორბელიანის შესანიშნავი თქმა:

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირჩი ტაძარსა წმინდას“.

რა შეიძლება ითქვას ქართული ენისა და ქართველი ერის შესახებ ამ საუბართან დაკავშირებით?

ქართული ენა ძველმწერლობიანი ენაა, ამ მხრივ მრავალ სხვა ენათაგან გამორჩეული. მასზე შექმნილია როგორც მრავალი მაღალმხატვრული ღირებულების, ისე თითქმის ყოველი დარგის სამეცნიერო ნაწარმოები; შეიძლება ითქვას, რომ მას არ შეუწყვეტია სამწერლობო პრაქტიკაში ყოფნა საუკუნეთა განმავლობაში მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სამშობლოს თითქმის განუწყვეტლივ ემუქრებოდა დამოკლეს მახვილი და მრავალჯერ იყო იგი აოხრებული მომხდური ძალების მიერ. მაგრამ ქართველი კაცი საბედნიეროდ ისე არ მოჭანცულა, რომ გუთანთან და თოხთან ერთად ხმალიც არ ჰქონოდა წვალ სამშობლოს დასაცავად, იცავდა იგი მოძალადისაგან თავის ტურფა ქვეყანას, თავის ჭეშმარიტად ჭირნახულს და თავის ენას... ქართველის ბედნიერება ის იყო, რომ მის სამშობლოს ერის თითქმის ნიშნეულობა ჰქონდა უკლებლივ და განუწყვეტლივ: ენა, ტერიტორია, ეკონომიკა და კულტურა. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად მრავალი ძლიერი გავლენისა ქართულ ენაზე — არაბულისა, სპარსულისა, თურქულისა და მონგოლურისა, ქართული ენა არ გატეხილა — ჭრილობები კი ამჩნევია აქა-იქ, როგორც მრავალჯერ ნათქვამს.

რა თქმა უნდა, დიდი პატრიოტის ილიანე ზოსიმეს ფრიად გადაჭარბებული ივანურ-ალეგორიული თქმაა ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში — „ვითარამედ ყოველი საიდუმლოჲ ამასა ენასა შინა დამარხულ არს... დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოვლისა მისისა საწამებლად რაჲთა ყოველსა ენასა (ერსა) ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“ („ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“). მაგრამ ქართულ ენას, წინარეისტორიულად და ისტორიულად დიდგზაგანვლილს, მართლაც, აქვს მევრი „მუნებრივი“ სიკეთე, როგორც ამას გასაზავდა აკადემიკოსი ნიკო მარი („ქართულ ენას აქვს საერთაშორისოობის შესაძლებლობა კავკასიური საზოგადოებრიობის მასშტაბით და განსაკუთრებული დემოკრატიულობა, რაც შედეგია დიდი მუშაობისა ძველთაგანვე“); ამასთანავე მრავალსაუკუნოვანმა ზეპირმა თუ წერილობითმა უწყვეტლივმა ხმარებამ საზოგადოებრივსა, პოლიტიკურსა, მხატვრულსა და სამეცნიერო ასპარეზებზე უთუოდ გაამდიდრა ქართული ენა სიტყვათა მარაგით და ფორმათა განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და მოქნილობით. ამიტომ ქართული ენა მრავალმხრივ გამოჩინებულია მრავალ სხვა ენათა შორის.

თუ თვით რომელიმე ენის უპირატესობაზე ძნელია ლაპარაკი, უფრო ადვილია დავაფასოთ ენის წერილობითი ფორმა. ამ მხრივ უდავოა ქართული ანბანის იდეალურობა, მეტადრე დღევანდლურისა, უმთავრესად, რა თქმა უნდა, ქართული ენის ბგერათა გამოხატვის თვალსაზრისით: არ არის ქართულში არც ერთი სამეტყველო ბგერა (ფონემა), რომელსაც არ ჰქონდეს მიჩენილი თავისი ასო-ნიშანი და არ არის დღევანდლურ ქართულ ანბანში არც ერთი ასო-ნიშანი, რომელიც არ იყოს გამომხატველი რომელიმე ქართული ენის სამეტყველო ბგერისა (ფონემისა). ამიტომაა, რომ თითქმის იდეალურია ქართული ორთოგრაფიაც: იშვიათია ქართულ წერაში ისეთი შემთხვევები, როცა წარმოთქმა არ ემთხვევა დაწერილობას.

ლასპენა თავისთავად გასაგებია ქართული ენისა და ქართველი ერის შესახებ: ისეთ დიდ საგანძურს, როგორიცაა ქართული ენა ქართველი ხალხისათვის, ესპეროება დიდი და განუწყვეტელი მოვლა: არ უნდა ვიღაპარაკოთ უწესოდ არც საჯაროდ და არც კერძო საუბარში, რათა სათავე არ დაედოს ენის „წახდენას“ და, მაშასადამე „ერის დაცემას“. რათა არ „წაეცხოს ჩირჩი ტაძარსა წმინდას“.

უნდა ვუფრთხილდეთ აგრეთვე ლამაზი ქართული ასოების დამახინჯებას წერაში.

„დიდოსტატის მარჯვენა“ გერმანულ ენაზე

ბერლინის გამომცემლობა „კულტურ უნდ ფორშტრიტმა“ გამოსცა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. წიგნი გერმანულ ენაზე თარგმნა ქართველოლოგმა გერტრუდ პეჩმა. რედაქტორია მარლენე მილაკი. წიგნს დართული აქვს თარგმანში დატოვებული ქართული სიტყვების ახსნა და ალფრედ კურელას ბოლოსიტყვაობა.

მეგობრობის დროშით


ახალგაზრდა ჟურნალისტმა მაყვალა ინასარიძემ თავის წიგნში „მეგობრობა“ ერთხელ კიდევ მოგვაგონა საკოლმეურნეო მოძრაობის ნიჭიერი ორგანიზატორის, ბევრი სასარგებლო საქმისა და წამოწყების სულისჩამდგმელის, სოციალისტური შრომის გმირის, სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ოთხგზის ლენინის ორდენოსან მიხაკო ორაგველიძის სასახელო შრომით განვლილი გზა.

წიგნში ჩართულია თვით მიხაკო ორაგველიძის ნაამბობი უკრაინელ თანამოძმეებზე, რომლებმაც ომის მრისხანე წლებში სოფელ შრომაში პოვეს თავშესაფარი. მთელ დედამიწაზე ძნელად იპოვნი ასეთი შესანიშნავი თანამშრომლობის მაგალითსო, — უთქვამს ქართველ და უკრაინელთა მეგობრობაზე ცნობილ ინდოელ საზოგადო მოღვაწეს შრი ჩათერჯს და სწორედ ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული „მეგობრობას“ ეპიგრაფად.

ქართველი და უკრაინელი კოლმეურნეების მეგობრობის ოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ეს წიგნი, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა, სასიამოვნოდ არის დაწერილი და ინტერესით იკითხება.

ნელი ჩაჩავა

აქინდი თებერვალში



ახლა საქართველოში თბილი, ნამდვილი გაზაფხულის დღეებია.

როგორი ამინდია მოსალოდნელი თებერვლის მეორე და მესამე დეკადაში? აი რას გვიპასუხებენ ამ კითხვაზე თბილისის ამინდის ბიუროს მუშაკები:

დასავლეთ საქართველოში 13-18 თებერვლისათვის მოსალოდნელია უპირატესად მშრალი ამინდი, თვის დანარჩენ დროს მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით — ნალექი, უფრო ხშირად — თოვლი. ჰაერის საშუალო ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 5-6 გრადუსი იქნება, მთაში — მინუს 1-6 გრადუსი.

ყველაზე ცივი დღეები მოსალოდნელია მეორე დეკადის პირველ ნახევარში და მესამე დეკადის მეორე ნახევარში.

აღმოსავლეთ საქართველოში 10-18 თებერვალს მშრალი უღრუბლო ამინდი იქნება. სხვა დღეებში მოსალოდნელია დროდადრო თოვლი, ნისლი.

ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 0-4 გრადუსი სითბო იქნება, მთაში — 1-6 გრადუსი ყინვა.

ჰაერის ყველაზე დაბალი ტემპერატურა მეორე დეკადის პირველი და მესამე დეკადის მეორე ნახევრებშია ნავარაუდევი.

ფალავნები ფალავნობენ

30 იანვარს 10 ათასი მაყურებლის თანდასწრებით თბილისის სპორტის სასახლეში, რომლის გუმბათქვეშ ჭიდაობის საერთაშორისო ასოციაციის ემბლემა ეკიდა, სპორტული მარშის მელოდიაზე მწყობრად შემოვიდა ბიჭა ბულგარეთის, ირანის, მონღოლეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 105 მოჭიდავემ. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვახტანგ კუხიანიძემ თბილისის საერთაშორისო IX ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში გახსნილად გამოაცხადა.

ვინ გაიმარჯვებს, ვინ იქნება საუკეთესოთა შორის საუკეთესო? — ეს კითხვა ერთნაირად აღელვებდათ, როგორც მაყურებელს, ისე იმ ადამიანებს, რომლებიც არც ისე შორეულ წარსულში თვითონ გამოდიოდნენ საჭიდაო ხალიჩაზე და თავიანთი შეუდარებელი ოსტატობით გვხიბლავდნენ. დიახ, აქ იყვნენ, მაგრამ ამჯერად როგორც მსაჯები, მწვრთნელები ან როგორც რიგითი მაყურებლები, მსოფლიოში სახელგანთქმული ფალავნები ვახტანგ ბალავაძე, დავით ციმაკურიძე, გურამ საღარაძე, შოთა დაუშვილი, გიორგი სხირტლაძე, შალვა ნოზაძე, ვლადიმერ არსენიანი, ნორიკ მუშეღიანი, არამ იალტარიანი, ვასილ რიბალკო...

საბჭოთა გუნდს, რომელიც ძირითადად ქართველი მოჭიდავეებისაგან შედგებოდა, სპეციალისტები გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ უბრძოლველად პოზიციების დათმობას არც ირანელი, ბულგარელი თუ მონღოლი მოჭიდავეები აპირებდნენ. აი როგორ წარიმართა პაექრობა წონითი კატეგორიების მიხედვით:

უმჩატეს წონაში გამარჯვებას ერთმანეთს ეცილებოდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ირანელი ბრაჰიმ ჯავადი და მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი მოსკოველი რომან დმიტრიევი. გამარჯვება მოსკოველს დარჩა, რომელმაც ფინალში სწორედ ირანელს სძლია, მესამე ადგილზე გამოვიდა მონღოლი მოჭიდავე განბადი.

მჩატე წონაში კარგად დაიწყო ასპარეზობა 22 წლის გიორგი გიორგაძემ, მაგრამ მას გამოცდილებამ უმტყუნა და საბოლოოდ პირველი ადგილი ირანის ჩემპიონს მოჰამედ გორბანს დარჩა.

ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეებს შორისაც ირანელმა ჯანგირ აბდულბაღერმა იმარჯვა, რომელმაც ადგილობრივი ჭიდაობისათვის შესანიშნავი ქართველი მოჭიდავის, მსოფლიოს ჩემპიონის ვლადიმერ რუბაშვილის პრიზი მოიპოვა. ამ წონაში მეორე იყო ტარიელ ალიბეგაშვილი.

ნსუბუქ წონაში ვლადიმერ რუბაშვილის შემდეგ ჩვენ ალარ გვყავს მისი მსგავსი მოჭიდავე. — განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა ნორიკ მუშეღიანმა. ამჯერად სხვებზე უკეთ ზაგალავ აბულბეკოვმა იჭიდავა და გამარჯვებაც მას ერგო. ჭიდაობის მოყვარულები მოხიბლული დარჩნენ ნოდარ ხოხაშვილის გამოსვლით (პირველი ქვესაშუალო წონა). ნოდარმა ოთხი შეხვედრიდან სამი წმინდად მოიგო, ხოლო ერთი — ქულებით და გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდა.

მეორე ქვესაშუალო წონაში პირველი იყო ნუგზარ უურული.

საშუალო წონაში ბადალი არ ჰყავდა თბილისელ ლევან თედიაშვილს. ილეთების მრავალფეროვნება, მშვენიერი ტექნიკა, რომლითაც ტურნირის სპეციალური პრიზი დაიმსახურა, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ გურამ საღარაძეს ღირსეული მემკვიდრე ეზრდება.

მეორე საშუალო წონაში გაიმარჯვა შოთა პაპაშვილმა, მეორე ადგილზეა ბულგარელი დელჩევი, მესამეზე კი მონღოლი მოჭიდავე მუხბათი.

ქვემძიმე წონაში იმარჯვა ესტონელმა ქალიე ლიივამ, ხოლო მძიმეში — ვლადიმერ პაშუკოვმა.

ტურნირი დამთავრდა ჩვენი მოჭიდავეების აშკარა უპირატესობით. წინ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებია, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ფალავნები იქაც იფალავნებენ.

მერაბ კოპაძიძე



ჭადრაკი

ნონაც და ნანაც

1970 წლის ხანგრძლივი და საინტერესო საჭადრაკო სეზონი მხოლოდ ახლახან დაიწყო, მაგრამ გულშემატკივრები უკვე გაახარეს ჩვენმა სახელოვანმა ქალებმა ნონა გაფრინდაშვილმა და ნანა ალექსანდრიამ.

მსოფლიოს ჩემპიონი მონაწილეობდა სსრ კავშირ-იუგოსლავიის ნაკრებთა მატჩში, რომელიც რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა მოსკოვში. იუგოსლაველ მოჭადრაკე ქალთა კოლექტივი მსოფლიოში სიძლიერით მეორეა. პირველ დაფაზე ნონა გაფრინდაშვილს უაღრესად საშიში მეტოქე ჰყავდა — იუგოსლავიის უძლიერესი ოსტატი მილუნკა ლაზარევიჩი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მატჩამდე მათი პირადი ანგარიში იყო 6:4 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ, რაც იუგოსლაველისათვის უაღრესად საპატიოდ უნდა მივიჩნიოთ. ამჯერად ნონამ 4 შეხვედრაში 3,5 ქულა მოაგროვა და მკვეთრად გაიუმჯობესა ბალანსი, ეს მით უფრო საპატიოა, რომ ახლა ლაზარევიჩი ჩინებულ ფორმაშია და მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ შესაძლებელ პრეტენდენტად ითვლება.

საბჭოთა ნაკრებმა დიდი ანგარიშით — 17,5:6,5 სძლია იუგოსლაველებს.

ნანამ ნონა მოსკოვში იბრძოდა, ნანა ჰოლანდიაში ბევერვიკის საერთაშორისო ფესტივალში გამოდიოდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნანამ შორს ჩამოიტოვა დანარჩენი მეტოქეები და უკვე პაექრობის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. მისი საბოლოო შედეგია 9½ ქულა 11 თამაშიდან — ბრწყინვალე 8 მოგება და 3 უაიში — ბევრად მეტია, ვიდრე პირველი ადგილის მოსაპოვებლად ჩვეულებრივ არის საჭირო.

ცნობილი დიდოსტატი სალო ფლორი ამის თაობაზე გაზეთ „კომუნისტში“ წერს: „1931 წელს ალიოხინმა ბლედის (იუგოსლავია) 26 ტურისაგან შემდგარ ტურნირში 5,5 ქულით გაუსწრო მეორე პრიზიორს ბოგილიუბოვს. მაგრამ 11 ტურისაგან შემდგარ ტურნირში სამი (!) ქულით გასწრება — ასეთი რამ, მე მგონია, ჯერ არ მომხდარა. ეს შეძლო ნანა ალექსანდრიამ, რომელიც პირველად ჩავიდა ჰოლანდიაში.

ნანა მოვიდა, ნახა და გაიმარჯვა. და მერე როგორ!“

მაშ ახე, ნონამ და ნანამ სეზონი წარმატებით დაიწყეს.

გივი გამრეკელი



სურათზე: გივი ონაშვილის და იური ბრონსკეიტის შეხვედრის მომენტი. ძიუ-დოში. გაიმარჯვა ქართველმა ფალავანმა.

პირველად თბილისში

შაბათს და კვირას თბილისის სპორტის სასახლე კვლავ გაიჭედა ჭიდაობის გულშემატკივრებით. მაგრამ, ამჯერად საასპარეზო ხალიჩას სპორტის ახალი სახის წარმომადგენლები დაეპატრონებოდნენ: საბჭოთა სპორტის ისტორიაში საქართველოში პირველად გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ძიუ-დოში.

და მაინც ძიუ-დომ თბილისში ბევრი მეგობარი და გულშემატკივარი შეიძინა. ეს არც არის გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იგი საოცრად ჰგავს ქართულ ჭიდაობას. გარდა ამისა, ამ „უცხო ხილისადმი“ ინტერესი შეამზადა გამოჩენილი ფალავნების — ანზორ კიკნაძისა და ანზორ ქიბროწაშვილის პარტერთმა ბრწყინვალე გამარჯვებამ საერთაშორისო სარბიელზე.

თუმცა საბედნიეროდ ორი ანზორი ამჯერად როგორც მსაჯები გამოდიოდნენ, ინტერესი ამ სანახაობისადმი მაინც არ შენელებულა, ვინაიდან ახლაც საბჭოთა სპორტის ღირსებას ბევრი ქართველი ფალავანი იცავდა.

ასპარეზობაში, გარდა საბჭოთა სპორტსმენებისა, მონაწილეობდნენ საფრანგეთის, ჰოლანდიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და პოლონეთის უძლიერესი ფალავნები.

თავიდანვე პირველობისათვის ბრძოლაში ჩაებნენ იუნიორები. ბუთიზ წონითს კატეგორიაში პირველი ადგილები საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს, აქედან ორი — ახალგაზრდა ქართველმა მოჭიდავეებმა — მაჭარაშვილმა და ჩოჩიშვილმა (ორივე გორიდან).

მეორე დღეს სარბიელი ტურნირის ძირითად მონაწილეებს დაეთმოთ. ამჯერად ქართველმა მოჭიდავეებმა ერთგვარად დათმეს პოზიციები და ხუთიდან სამ წონითს კატეგორიაში მეორე ადგილს დასჯერდნენ. მსუბუქ წონაში პირველი იყო მელნიჩენკო, მეორე — მარტყოფლიშვილი; ქვესაშუალოში პირველი — ნოვიკოვი, მეორე — ბორჩაშვილი; საშუალოში პირველი — ცუპაჩენკო, მეორე ფრანგი ოფრე; ქვემძიმეში პირველი — ფრანგი რუჟე, მეორე —საბჭოთა ფალავანი პოკატაევი, მძიმეში პირველი — საუნინი, მეორე — ონაშვილი.

რჩეულნი

● სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 33 საუკეთესო ფეხბურთელი 1969 წლის სეზონის შედეგების მიხედვით. მარჯვენა მცველებს შორის პირველ ნომრად დასახელებულია რამაზ ქოჩაშვილი. მარცხენა ცენტრალურ მცველებში — მურთაზ ხურცილავა, ცენტრალურ ნახევარმცველებში — პაპი ასათიანი, ხოლო მარცხენა თავდამსხმელებში — გივი ნოდია. როგორც ცნობილია, ოთხივე ფეხბურთელი შეყვანილია სსრ კავშირის ნაკრებში.



◆◆

კოსმონავტი გიორგი შონინი შვებულებას საქართველოში, ბაკურიანში ატარებს. თვალწარმტაც კურორტზე წასვლამდე, კოსმოსის გმირი თბილისში დაესწრო საერთაშორისო ასპარეზობას ძიუდოში, მოინახულა „დინამოს“ ფეხბურთელებიც.

სურათზე: გიორგი შონინი „დინამოელებთან“ — გივი ჩოხელთან და სლავა მეტრეველთან.

◆◆

დღეგრძელთა მხარე

ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება, ახალგაზრდობის ხანგრძლივად შენარჩუნება, კაცობრიობას ყოველთვის აღელვებდა და აფიქრებდა. მეცნიერებმა 200-ზე მეტი თეორია შექმნეს იმის შესახებ, თუ რატომ ბერდება ადამიანი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იძლევა სრულ პასუხს იმ პროცესებზე, რომლებიც ჩვენს ორგანიზმში წლების მატებას უკავშირდება. და ცხადია, ვერც ამ პროცესების მკვეთრად დამუხრუჭებაა ჯერ-ჯერობით შესაძლებელი. რა თქმა უნდა, მეცნიერები მომავალშიც შეეცდებიან ადამიანს გაუხანგრძლივონ სიცოცხლე, რადგან ცნობილი ბიოლოგის ტრეტიაკოვის თქმისა არ იყოს, გულდასაწყვეტია, რაფაელმა და მოცარტმა იმდენ ხანსაც რომ ვერ იცოცხლეს, რამდენსაც ჩვეულებრივ კუ ცოცხლობს...

სხვა მრავალთან ერთად, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ კლიმატურ პირობებს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება. განა იშვიათად გვითქვამს მთაში, სუფთა ჰაერზე, მარტო წყლითა და ჰაერით იცოცხლებს კაციო!



ჭარმაგი მხედარი — გივი კიკვაძის ფოტო

მსოფლიოში ძნელად მოიპოვება მხარე, რომელიც კლიმატური პირობებით საქართველოს შეედრებოდეს და აქ დღეგრძელთა სიმრავლის მხრივაც ვერავინ შეგვედრება.

არც ისე დიდი ხნის წინათ თბილისში, მსოფლიოში პირველად გამოიცა ატლასი, რომლის რუკებზეც ქართველი ხალხის დღეგრძელობაა აღნიშნული. ეს რუკები სხვა მრავალ საინტერესო მონაცემებთან ერთად გვამცნობს, რომ ყველაზე დიდხანს ჩვენს რესპუბლიკაში ის ადამიანები ცოცხლობენ, რომლებიც დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 500-1500 მეტრის სიმაღლეზე არიან დასახლებული.

ამ წერილში, მე, როგორც დასავლეთ საქართველოში დაბადებულმა და გაზრდილმა კაცმა, ჩემს მეხსიერებაში შემორჩენილ ჩოხატაურის რაიონის იმ ადამიანებზე მინდა მოგითხროთ, საუკუნეებს რომ გადააცილეს და სიბერე არ ეტყობოდათ. მათი მხნეობის შემყურემ 1963 წელს ლენინგრადში, ცნობილ კავკასიოლოგს ივანე მეშჩანინოვს 80 წლის იუბილეზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელით რომ მივესალმე, კავკასიური დღეგრძელობა ვუსურვე, საბოლოო სიტყვაში იუბილარმა სთქვა: მე ყველაზე მეტად ქართველი დელეგატის სიტყვამ მასიამოვნა, მინდა ქართული გამოთქმით ვისარგებლო — მანამდე ვიცოცხლო, ვიდრე პერანგი მეზიდებაო.

ცნობილი მეცნიერის სიტყვები ახლა იმიტომ გავიხსენე, რომ ადამიანებს, რომლებზეც გვექნება საუბარი, მართალია, მეორე საუკუნეში ჰქონდათ ფეხი გადადგმული, მაგრამ მუხლიც ერჩოდათ, თვალიც უჭრიდათ და სხარტად სათქმელ სიტყვასაც ადვილად პოულობდნენ.

ხიდისთავში, ქაჯიეთ-ბასილეთის გზასთან მცხოვრები მასიკო კალანდაძე 125 წლისა ისე გარდაიცვალა, სათვალე არ უხმარია და არც სხვისი ხელით სატარებელი გამხდარა. მასიკოს შვილიშვილს, შალვა კალანდაძეს, რომელიც მალე 80 წლისა გახდება, ისეთი შავი თმა აქვს და ისე მხნედ გამოიყურება, რომ ნახოთ, შუახნის კაცად მიიჩნევთ. სეგულია ნაცვალაძემ, მასიკოს გვერდით რომ ცხოვრობდა, 115 წლამდე იცოცხლა.

გუშინდელ დღესავით მახსოვს მუდამ მოძრავი, სანდომიანი სახის 110 წლის ივანიკა მათითაშვილი და 105 წლის ნიკო გოგიბერიძე, ენამოსწრებულ კაცად რომ იცნობდა მთელი სოფელი. დინჯი, ჰკვიანი მოსაუბრე 108 წლის ზალიკა ლომთათიძე, ას წელზე მეტი იცოცხლეს სოფრომ კალანდაძემ, ალექსი, ბუხუტი და პელაკი კვანტრაძეებმა, ვამეხ და ქაიდელ გოგიბერიძეებმა, ჯაჯიკა კალანდაძემ, ანუსი სიხარულიძემ, ალათი ქიქოძემ, ოქროპირ, გიორგი, მალაქი, როსტომ და გლახუნა მეგრელიძეებმა.

ახლაც ცოცხლები არიან და თითქმის საუკუნეს მიატანეს კასმა ჩიგოგიძე-გოგიბერიძისამ, ფედოსი და მარო მათითაშვილებმა, გიორგი სირაძემ, ანა სირაძე-თავართქილაძისამ და სხვებმა.

მრავალწლიან ადამიანებს შეხვდებით ზენობში (მიქელ ჭანიშვილი 118-ისა, ხოლო მისი და მაკრინე 111 წლის გარდაიცვალნენ), ახალშენში, მიწიეთში, ასკანა, ოქროსხევსა და გურიის სხვა სოფლებში.

ახლა თქვენც, ჩემო მკითხველო, თუ გაიხსენებთ თქვენი კუთხის, თქვენი გვარისა და სანათესაოს ადამიანებს, შეუძლებელია მათ შორის არ იპოვოთ ისეთები, რომლებმაც ას წელზე მეტხანს იცოცხლეს. დიახ, საქართველო მზეგრძელთა, დღეგრძელთა მხარეა. ქართველი ამას ინსტინქტურადაც გრძნობს და ამიტომაც სხვა მხარეში დიდხანს ვერ ძლებს, სამშობლოში მოისწრაფის. ამ გრძნობამ ათქმევინა რაფიელ ერისთავს:

„არ გავცვლი მე ჩემს
სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“...

ქართული სულის ღაღადისია:

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა!“

აკი თქვა უცხოეთში ნაცხოვრებმა ფილოსოფოსმა მოსე გოგიბერიძემ: — „ქართველი უცხოეთშიც თავის კუთხეს, თავის კარ-მიდამოს, თავის სახლს, მოკლედ საქართველოს განიცდის, სულიერად ის საქართველოში რჩება უცხოეთში ცხოვრების დროსაც“.

დასასრულს ერთ სამეცნიერო წიგნში ამოკითხული სიტყვები მინდა შეგახსენოთ — დღეგრძელთა მსოფლიო ეპიცენტრი კავკასიონზე გადისო. და თუ ასეა, ქართველიც ხომ კავკასიის ღვიძლი შვილია, შვილის დღეგრძელობას კი, აბა, რომელი მშობელი დაიშურებს!

იოსებ მეგრელიძე,
პროფესორი



ცხაკაია. სასტუმრო „ეგრისი“

ედუარდ ბიბილაშვილის ფოტო

ქართული სამზარეულო

ხ ა შ ი

კარგად გასუფთავებული, თბილ წყალში გარეცხილი და ნაჭრებად დაჭრილი ცხვრის ან ძროხის ფაშვი და ფეხები ჩაყარეთ მდუღარეწყლიან ქვაბში და დადგით მოსახარშად ძლიერ ცეცხლზე. ადუღდება თუ არა, წვენი გადაღვარეთ, შემდეგ ისევ მდუღარე წყალი დაასხით და ხარშეთ, სანამ წვენი არ შესქელდება და ფეხები კარგად არ ჩაიხარშება. სუფრაზე ცალკე ჭურჭლით მიიტანეთ მარილთან ერთად დანაყილი ნიორი და ჭამის წინ გემოვნებით შეაზავეთ თქვენი ულუფა.

ქ ა ბ ა ბ ი

ძროხის ხორცის რბილი ნაჭერი (500 გრამი) გარეცხეთ, დაჭერით ნაჭრებად, დაუმატეთ ერთი თავი ხახვი, წიწაკა გემოვნებით და გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. შემდეგ შეაზავეთ გემოვნებით მარილითა და პილპილით და აურიეთ. შიგ გათქვეფილი ორი კვერცხი, მიღებული მასალისაგან გააკეთეთ საშუალო სიდიდის მოგრძო გუნდები, დააწყვეთ ცხიმიან ცხელ ტაფაზე და შეწვით ყოველი მხრიდან.

შემწვარი ქაბაბი შესაფერ ჭურჭელზე მოათავსეთ, მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, ერთი ჩაის კოვზი დაფქული კოწახური (Berberis) და მორთეთ მწვანილის პატარა ღეროებით.

დაგეძებენ, მოგელიან

შოთა სოლომონის ძე აბზიანიძეს,

დაბადებულს 1921 წელს ქუთაისში, ეძებენ დედა — თეო გარსევანის ასული აბზიანიძე, ძმა — იაშა აბზიანიძე.

ანტონ სიმონის ძე ტოფაძეს,

დაბადებულს 1917 წელს ქალაქ ქუთაისში, ეძებს და — ნინა (ცუცუ) ტოფაძე ქათამაძისა მცხოვრები თბილისში, კანდელაკის ქუჩა, № 3, ბინა № 16.

გაზეთ „სამშობლოს“ სარედაქციო კოლეგია თანაგრძნობას უცხადებს მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას მეუღლის —
მირანდა ნიკოლოზის ასულ ფალავანდიშვილ-გამსახურდიას
გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

66455

ფასი 5 კაპ.